ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 004

ქ.თბილისი ....23....11..... 2011 წელი

ქვემოთ ხელისმომწერნი, ერთის მხრივ სსიპ წყნეთის 137 საჯარო სკოლა, (შემდგომში წოდებული, როგორც "შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი დირექტორის .....[illegible]..... სახით, და მეორეს მხრივ შპს "სახალხო აფთიაქი" (შემდგომში წოდებული როგორც "მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის არჩილ მორჩილაძის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

I.ხეკშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია სხვადასხვა დასახელების ფარმაცევტული პროდუქტებისა და სამედიცინო სახარჯო მასალების სახელმწიფო შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად გამარტივებული შესყიდვით. CPV 33600000

II.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

2.1წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და ძალაშია 2011 წლის 31 დეკემბრამდე.

III.შესყიდვის ობიექტის ღირებულება

3.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრა ლარებში;

3.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს .....100 ლ 07 თ..... ლარს CPV კოდი #33600000 (ფარმაცევტული პროდუქტები) (დეტალური ჩამონათვალი იხ. ზედდებულებში) დღგ-სა და საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებული სხვა ხარჯების ღირებულებისა და საქართველოს კანონმდებლიბით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

IV.შესყიდვის ობიექტის ხარისხი

4.1 შესყიდული მედიკამენტების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს წინამდებარე ხელშკრულებით განსაზღვრულ პირობებს და აკმაყოფილებდეს შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებს.

V.შესყიდვის ობიექტის მოწოდების ვადები და ადგილი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღისა შემსყიდველის მისამართზე.

VI.შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, ორივე მხარის უფლებამოსილი პირების ხელმოწერით.

VII.ანგარიშწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში, საქონლის მიწოდებისა და მიღება_ჩაბარების აქტის გაფორმებისთანავე, არაუგვიანეს მეორე დღისა.

7.2 შესყიდული საქონლის ღირებულების ანაზღაურება მოხდება ნაღდი ან უნაღდო ანგარიშწორებით. უნაღდო ანგარიშსწორების შემთხვევაში გამოიყენება შემდეგი საბანკო რეკვიზიტები: სს „კორ-სტანდარტ ბანკი" მიმღების ანგარიში GEO4KS0000000004156904

VIII.მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1 შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

8.2 შემსყიდველი ვალდებულია:

-ხელშეკრულებით გათვალისწინებული მედიკამენტების მიწოდებისას საქმის კურსში ჩააყენოს მიმწოდებელი ყველა განსაკუთრებული გარეგოების შესახებ;

-ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესყიდული საქონლის ღირებულება;

8.3 შემსყიდველს უფლება აქვს;

-განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მომწოდებლის მიერ ხელშეკრულების პორობების დაცვაზე

8.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

-დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

-წუნის აღმოჩენასთან დაკავშირებული მიღებული შეტყობინების შემდეგ 3 დღის ვადაში საკუთარი ხარჯით აღმოფხვრას წუნის გამომწვევი მიზეზები:

8.5 მიმწოდებელს უფლება აქვს:

-მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდული მედიკამენტების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრუკებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

IX.ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

9.1 შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია მიღებისთანავე აწარმოოს შესყიდული მედიკამენტების ხარისხის ინსპექტირება;

9.2 ინსპექტირებას განახორციელებს ინსპექტირების ჯგუფი;

9.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მომწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესი.

X.მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

10.1 თუ მომწოდებელი არ ასრულებს ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველი წერილობით ფორმით აფრთხილებს მომწოდებელს დაიცვას ხელშეკრულების პირობები;

10.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების კვლავ შეუსრულებლობის შემთხვევაში, მომწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ შეუსრულებელ დღეზე აღნიშნული პერიოდისათვის გასაწევი მომსახურების ღირებულების 0.15%-ის ოდენობით.

10.3 თუ შემსყიდველი არ ასრულებს ხელშეკრულების 7.1-ის მოთხოვნებს, მას ეკისრება პირგასამტეხლო ჩასარიცხი 0.15%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

XI.ფორს-მაჟორული სიტუაციები

11.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებლები თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომი და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშვალოდ ზებოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა, დასრულების შემდეგ;

11.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობის პირობები გრძელდება ორ თვესზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კომპენსაციის მოთხოვნის გარეშე.

11.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

XII.ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

12.1 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია (გარდა საქართველოს სამოქალაქო ლოდექსია 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა), თუ ამ ცვლილებების შედეგად უარესდება პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის.

XIII.დავები და მათი გადაწყვეტის წესი

14.1 წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე;

14.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში ვერ შესძლებენ შეთანხმების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

XIV.სხვა პირობები

15.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით;

15.2 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;

15.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებით და რისკით;

15.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარა, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობით ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
სსიპ 137-ე საჯარო სკოლა	შ.პ.ს"სახალხო აფთიაქი"
ქ.თბილისი, გრიშაშვილის #1	ქ.თბილისი, დ ბაქრაძის ქ. #6
საიდენტიფიკაციო კოდი 204863647	საიდენტიფიკაციო კოდი 202230157
ს.ს. "საქართველოს ბანკი"	ს.ს"კორ-სტანდარტ ბანკი"
ბანკის კოდი 220101502 ა/ა 606975400	ანგარიშის #GEO4KSD0000000004156904
დირექტორი	დირექტორი
	არჩილ მორჩილაძე